ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2197866

ნომერი: AR1342083

თარიღი : 15.09.2015

გაცემის თარიღი : 18.09.2015

გაცნობის თარიღი : 21.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მასივი III , კვარტალი IX , კორპუსი 3ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ახლიდან ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1340323 განცხადებაზე №2184972 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან გამოსწორებული იქნა, თუმცა წარმოდგენილი ახალი დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, გამოვლინდა ახალი გარემოება, კერძოდ:

1. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებულია ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, და კოდიციონერების გარე აგრეგატების მოწყობა ხდება ქუჩის მხარეს გამომავალ ფასადზე, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, წარმოდგენილი სახით ფასადზე კონდენციონერების განთავსება არქიტექტურის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია მისი მოწყობა განხორციელდეს ისე, რომ მისი ხილვადობა ნაკლებად თვალსაჩინო იქნება, კერძოდ კონდიციონერები შეიფუთოს თანამედროვე დიზანის, ფასადთან მისადაგებული არქიტექტურული ელემენტით. გარდა ამისა, ფოტომონტაჟზე დაიტანეთ შენობის ნუმერაციის (3ა) მაჩვენებელი დაფა.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

2. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი" – ვინაიდან წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ სარეკონსტრუქციო ფასადზე ასევე ხდება შელესვა–შეღებვა, საჭიროა მოთხოვნის ტექსტში დააფიქსიროთ ამის შესახებ ინფორმაცია და ნომენკლატურაში თქვენს მიერ არჩეულ ნომენკლატურებთან ერთად დამატებით აირჩიოთ "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება – რეკონსტრუქცია"–ც, რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის შეცვლის საშუალება და ისარგებლეთ შესაბამისი ღილაკით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.